N 24
140113

საქართველოს
პარლამენტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

№ 10330

28 12 2012 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დარგობრივი ეკონომიკისა და

ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საკანონმდებლო წინადადებაზე
„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2012 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა პარტია ,,თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარის კახა კუკავას მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებით უქმდება ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმადაც რეკლამად არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური აგენტის ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც.

აღნიშნული ცვლილების მიღების შემთხვევაში, ყველა ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მიერ ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა.შ. (პუნქტი 8.) ჩაითვლება გარე რეკლამად.

საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული ნორმის (მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის) ამოღების შემთხვევაში რეკლამის გადასახდელი საჭირო გახდება ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის, რომელთა უმრავლესობაა საშუალო და განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები. რითაც, მათ დაეკისრებათ ახალი ვალდებულებები და გადასახდელები, რომლებიც მათი საქმიანობისა და ეკონომიკური შემოსავლების შეზღუდვას გამოიწვევეს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის თანახმად, კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადება ცნო მიღებულად. ამასთან, საჭიროდ მიიჩნია საკანონმდებლო წინადადების ავტორთან და დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ მომზადდეს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის ისეთი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც იგივე შედეგით, არ გამოიწვევს მეწარმეთა ინტერესების უგულველყოფას.

ზურაბ ტყემალაძე

კომიტეტის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ.: 2 98 29 32
10, LERMONTOVI ST., 0105 TBILISI, GEORGIA; TEL.: (+995 32) 2 98 29 32

№ 02-7/60 „23" იანვარი 2013 წ.

საქართველოს პარლამენტის ეკონომიკის კომიტეტს

(ქუთაისი, აბაშიძის ქ.26)

გთხოვთ, განხილულ იქნეს ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებასთან დაკავშირებით:

მუხლი 1. კანონის 159-ე მუხლის 1-ლ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, რეკლამის და სარეკლამო წარწერის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით".

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის

პატივისცემით,

კახა კუკავა

ქ.თბილისის საკრებულოს წევრი

პარტია „თავისუფალი საქართველო"-ს თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
სავალ. № 17681
23. 01 2013 წ. ფურცელ. 1